დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 75 08
25/11/2019

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უზუფრუქტის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 21 ნოემბრის №07/4722 წერილის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, 2015 წლის 18 სექტემბრის №2 უზუფრუქტის ხელშეკრულების 49 წლის ვადით გაგრძელების თაობაზე, სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სასარგებლოდ, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) დანიშნულების 4980000,00 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მდებარე დმანისი, საზაფხულო საძოვარი კონტური №18 ,,ჩათახი'' (ს.კ.82.17.41.014).
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

მერაბ ოქრიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე